

# საქართველო

## 2018

### დედისა და ახალშობილი ბავშვის ჯანმრთელობა




მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა

ძირითადი მახასიათებლები დედისა და ახალშობილი ბავშვის ჯანმრთელობაზე




### მშობიარობის ადგილი



ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალების პროცენტული განაწილება ბოლო ცოცხლადშობადობისას მშობიარობის ადგილისა და დასახლების ტიპის მიხედვით


### საკეისრო კვეთა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით



ბოლო 2 წლის განმავლობაში საკეისრო კვეთით ცოცხლადშობადობის (ბოლო ცოცხლადშობადობა) მქონე 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით


\*მონაცემი აზერბაიჯანელი ეროვნების შესახებ ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას.

## საკეისრო კვეთა




ბოლო 2 წლის განმავლობაში საკეისრო კვეთით ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალების პროცენტული განაწილება საკეისრო კვეთაზე გადაწყვეტილების მიღების დროის მიხედვით

## ადრეული ძუძუთი კვება




ბოლო ცოცხლად დაბადებული ბავშვების პროცენტული წილი 15-49 წლის ასაკის ქალებისათვის, რომელთაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ცოცხლად გააჩინეს ბავშვები, რომლებიც ოდესმე გამოუკვებავთ ძუძუთი, გამოკვებეს ძუძუთი დაბადებიდან ერთ საათში და დაბადებიდან ერთ დღეში \*მოიცავს ბავშვებს, რომლებმაც დაიწყეს ძუძუთი კვება დაბადებიდან ერთი საათის განმავლობაში

## კანით-კანთან კონტაქტი ახალშობილებში




ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთა ბოლო ცოცხლადშობილი შვილი მოთავსდა დედის შიშველ გულმკერდზე დაბადების შემდეგ

## დედასთან კანით-კანთან კონტაქტის ხანგრძლივობა



კანის-კანთან კონტაქტის ხანგრძლივობის პროცენტული განაწილება ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალებში, რომელთა ბოლო ცოცხლადშობილ შვილს ჰქონდა კანით-კანთან კონტაქტი დედასთან

# სამედიცინო შემოწმება სამედიცინო დაწესებულების დატოვების ან სახლში მშობიარობის შემდეგ



ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალებისა და მათი ბოლო ცოცხლადშობილი შვილების პროცენტული წილი, რომელთაც მიიღეს სამედიცინო შემოწმება სამედიცინო დაწესებულების დატოვების ან სახლში მშობიარობის შემდეგ სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით







## მშობიარობის შემდგომი შემოწმების პერიოდი დედებისა და ახალშობილებისთვის

### დედები

### ახალშობილები

- პირველი კვირის განმავლობაში
- მე-2 - მე-4 კვირის განმავლობაში
- 4 კვირის შემდეგ
- არ ვიცი/ არ მახსოვს

- პირველი კვირის განმავლობაში
- მე-2 - მე-4 კვირის განმავლობაში
- 4 კვირის შემდეგ
- არ ვიცი/ არ მახსოვს



მშობიარობის შემდგომი შემოწმების პერიოდის პროცენტული განაწილება დედებისა და ახალშობილებისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის იმ ქალებში, რომლებმაც ან რომელთა ბოლო ცოცხლადშობილმა შვილებმაც მიიღეს სამედიცინო შემოწმება სამედიცინო დაწესებულების დატოვების ან სახლში მშობიარობის შემდეგ

# რეგიონული მონაცემები დედისა და ახალშობილის შესახებ

რეგიონი	საკეისრო კვეთა	კანით-კანთან კონტაქტი	მშობიარობა სამედიცინო დაწესებულებაში	დედის მშობიარობის შემდგომი შემოწმება	ახალშობილის მშობიარობის შემდგომი შემოწმება
საქართველო	47	29	99	47	92
თბილისი	43	36	100	40	94
აჭარის ა.რ.	58	18	99	71	82
გურია	37	26	100	35	99
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	52	26	100	69	96
კახეთი	44	30	98	57	91
მცხეთა-მთიანეთი	34	35	97	35	90
სამეგრელო-ზემო სვანეთი	63	14	100	44	90
სამცხე-ჯავახეთი	36	14	100	23	72
ქვემო ქართლი	45	39	100	40	91
შიდა ქართლი	44	24	96	33	98

იხილეთ ზემოთმოყვანილი დიაგრამები მაჩვენებლების განმარტებისათვის

## საკვანძო გზავნილები

- სამედიცინო დაწესებულებებზე მოდის მშობიარობათა 99% და მხოლოდ 1% ჩატარდა სხვა ადგილას.
- სულ მშობიარობების 47% ჩატარდა საკეისრო კვეთით, რომელიც რეგიონების მიხედვით მერყეობს სამეგრელო-ზემო სვანეთში 63%-დან მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, შესაბამისად 34 და 36%-მდე.
- საკეისრო კვეთით მშობიარობის ალბათობა იზრდება დედის ასაკთან და განათლებასთან ერთად. ქართველი ქალები უფრო ხშირად მიმართავენ საკეისრო კვეთას სიმეხ და აზერბაიჯანულ ქალებთან შედარებით. ქალაქის და სოფლის ტიპის დასახელებებს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.
- საკეისრო კვეთების თითქმის 80% იყო დაგეგმილი - გადაწყდა სამშობიარო ტკივილების დაწყებამდე.
- ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობილი ბავშვების მხოლოდ 29%-ს ჰქონდა კანით-კანთან კონტაქტი დედასთან და ამ 29%-დან ბავშვების მხოლოდ 5%-ს ჰქონდა კანით-კანთან კონტაქტი 2 საათის და მეტი დროის განმავლობაში, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა.
- ბოლო 2 წლის განმავლობაში ბუნებრივი მშობიარობით დაბადებული ბავშვების მხოლოდ 43%-ს ჰქონდა კანით-კანთან კონტაქტი. ამასთან, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია საკეისრო კვეთით დაბადებულ ბავშვებს შორის (14%).
- ბოლო 2 წლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების 92%-მა მიიღო სამედიცინო შემოწმება სამედიცინო დაწესებულების დატოვების ან სახლში მშობიარობის შემდეგ.
- მშობიარობის შემდგომი მოვლის მომსახურებებით სარგებლობის მაჩვენებელი დაბალია, ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ქალების მხოლოდ 47%-მა მიიღო სამედიცინო შემოწმება ბოლო ცოცხლადშობადობისას სამედიცინო დაწესებულების დატოვების ან სახლში მშობიარობის შემდეგ. ამასთან, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სოფლად და ქალაქად მცხოვრებთათვის.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია დედისა და ახალშობილი ბავშვის ჯანმრთელობასთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში: TM.6.1, TM.6.2CS, TM.8.2CS, TM.8.4, TM.14.1CS და TC.7.1.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: [mics.unicef.org/surveys](https://mics.unicef.org/surveys)